



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურო ნახაზებიანი გაზეთი; გაპოლის ქოველ კშირა დღმს.

№ 31

ივლისი 27 1897 წ.

№ 31

შინაარსი: თ. გ. დ. შარვაშიძე—მზე და მთვარე, ლექსი —კ.სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კეკელიძე კორესპონდენციები.—სოფ მარტოვი და ხელთუქმელი დეოების ეფლესია ა. ქუთათელაძისა.—ჩვენი სოფლის მამასხლისი პ. ყ.—სა.—კრიტიკული შენიშვნები: სანაღბო პოეზია მ. კელენჯერძისა ჭაბარასისა—ქუთაისის ბანკის განცხადებანი.


„კეკელიძის“ „ტ. გ. დ. შარვაშიძის“ ხელის მიამწერლებს მთავაგონებთ, ვინც ფულს არ შემოიტანს 1 ივლისამდე, მათ გაზეთის გზავნა მოესპობათ.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) ღირსი იქით გაიყიდება „ამალის“ რედაქციაში 1 მ, 50 კ. (გასაზღვარი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთან. მ. ლალიძის-მიერ გამოცემული:



თ. გ. დ. შარვაშიძე.



„ნათელა“

(ძველებური აზრები)

აკაკისა

შენიერ კალაღზე. გვერდი 72, მისი ფასი 20 კაპეიკია.



შარვაშიძის გვარი ერთ უძველეს და ფრიად დამსახურებულ გვართ ითვლება საქართველოს ისტორიაში. თამარ მეფის დროს დალათა, ანუ დოთალო შარვაშიძე აფხაზეთის ერისთავთ ერისთავთ და თამარ მეფის სამეფო კარზე მდლო-

მელათ, ვითარცა სამეფო რჩევის წევრი, ისე მოხსენებულნი. ამ გვარიდან გამოსულან დიდებული შირვანის მფლობელები, რომელნიც განირჩეოდენ საქართველოს მეფეების ერთგულობით. დავით აღმაშენებლის ერთი ასულთაგანი შირვანის ბატონს ჰყავდა მიხოვებული.

თ. გ. დ. შარვაშიძე არის აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხაილის ძმისწული.....

თ. გ. დ. შარვაშიძე ეკუთვნის მესამეოცე წლების მოდემას, დასწრებია მაშინდელი დროის ჰუმანიტარიული მიმართულების სტუდენტების მოძრაობას და იმ დროის კაცების იდეალური აზრებიც აქვს შეთვისებული.

მის მოქმედებას ლუბერნატორობის დროს აჩნია დიდი ამ კეთილშობილური იდეალური გზაცებისა. ის მხნეთ შეუღდა თავის ლუბერნაში გლეხობის კეთილ-მდგომარეობის წარმატებას და ამ აზრით დაიწყო მახრებში სასოფლო თანხების შეკრება და პუროის ხაროების (ამბრების) დაარსება.

ძირითადი აზრი ამ დიდი საქმის გამოწყობისა ის იყო, რომ თ. გ. დ. შარვაშიძე ფიქრობდა, შეეგროვებინა იმდენი ფული გლეხკაცობაში, რომ თვით ამ შეგროვილი ფულის ნაასალი, ანუ პროცენტი, საქმეა ყოფილ იყო გლეხკაცობის ყოველგვარი საქირების დასაქმყოფილებლათ, როგორც მაგალითათ: სახელმწიფო ხარჯების გასატუმრებლათ, საგლეხო ადგილ-მამულის შესაძენათ, ადგილ-მამულის შემუშავების გასადილეებლათ, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების მოსაპოებლათ და უცუთესი ჯიშის საქონლის მოსაშენებლათ. ეს მართლაც და სამაგალითო დიდი საქმე იტყირთა თავის სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვის თ. გ. დ. შარვაშიძემ. ამ დიდი საქმის განხორციელებლათ იმან კიდევ ჩაყარა მტკაც საფუძელები.

მისი დაუცხრომელი შრომით და თაოსნობით ქართლ კახეთის გლეხკაცობას სასოფლო თაენი დღეს მილიონამდის (972,754 მან. და 5 კ.) აქვს შეგროვილი და 405 პურის ხარო (ამბარი) გამართული, რომლებშიაც 206,982³/₄ ფუთი ხარბალი ინახება. ამის მეტი რომ სხვა არაფერი გავკეთებინა თ. გ. დ. შარვაშიძეს თავის ლუბერნატორობაში, ესეც საკმაოა, რომ მისი სახელი არ იყოს დაეწიებული ჩვენ ქვეყანაში.

მაგრამ ამას ვარა მერე დიდი საქმეც გამოიწყო იმან თავის ლუბერნატორობაში. რა კი ის დარწმუნდა, რომ განუფეთარებელი სოფლის მამასახლისები და საზოგადოთ სოფლის მოხელეობა ეცერ ემსახურებთან გლეხობას და მათგან, როგორც მთავრობას, ისე გლეხობას დიდი მანებლობა და მწუხარება აღ-

ვათ, თ. გ. დ. შარვაშიძემ განიზრახა, რომ სოფელს განეთარებული სოფლის მოხელეები დაუნაშნოს, თავად-აზნაურობა დაახლოვოს გლეხობასთან და იმათგან ამორჩეული განეთარებული კაცები დააყენოს სოფლის მოხელეებათ. ამ სახით მან ერთი ნაბიჯი წინ წაადგმევინა ჩვენს ერს.....

მზე და მთვარე.



ზე მთებიდან ამოგორდა
ლამაზი და პირ-მცინარე,
შუქი სტყორცნა დედა-მიწას,
გაანათა არე-მარე.

დიღის სიომ მინდორ ველებს
დაუკონა პირი ძმურათ...
ფრინველებმაც გაიღვიძეს,
აქიკვიკედნ საამურათ.

სწორეთ ამ დროს ნაზი მთვარე
მიიმაღა დასაუღეთით,
და მზემ, ამის დამნახველმა,
გადაძახა გაეკირვებთ:

„აბა, დაო, სად მიღიხარ!
ეერ დატკებე ამ დლითო?
ფრინველების ტკბილი ხმებით
და მინდერების ბიბინითო!“

მთვარემ უთხრა: „მე მომიბოლა
ღამით მგონის, წანანიამო!“
და ცრემლები მავრქვევინა
იმ მწუხარე ზეცის ხმაო!

ეერ გაეფანტე ამ ტკბილ გრძნობას
მე ბელურის ჭკვიკითო
და მიტომაც ვიმალები
დილაობით მთებს იქითო!“

სხვა-და-სხვა ამბავი.



ურჩიების უნივერსიტეტის დეკანის ლევენსონ ლესინგის სიტყვით ენკენისთვის 9 ჩამოვა თვილის ოთხასი გეოლოგი, წერილი მსოფლიო გეოლოგიურის კრებისა და დარჩებიან სამი დღე.

* *

კადეტის კორპუსებში წელს სწავლა აგვისტოს თექვსმეტს კი არა, სექტემბრის 1-ს დაიწყება. ამისთვის კადეტები უნდა გამოცხადდნ აგვისტოს 31-ს.

* *

თვილისის რეალურ სასწავლებელში გადასყვანი ეგზემენები დაიწყება აგვისტოს 21-ს, 22-ს და 23-ს, ხოლო ახალ მოწაფეთა მისაღები ეგზემენები აგვისტოს 26-ს, 27 და 28-ს.

* *

წარსულ კვირას ნაძალადევის უბანში, საქველმოქმედო მიზნით, თეატრის მოყვარულთა ქართული წარმოდგენა გამართეს არტისტ აღმიძის მონაწილეობით. თამაშობდნ გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპოს“ და ა. ცაგარლის ეოდელიის „აქკულის მქირს“. წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა და ხალხი დიდათ ეპყოფილი დარჩა. კარგათ ითამაშეს ბბ. შევლიძემ, ჯაბაუტმა და ხოსროემ. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი გრ. ნარკიანი, მოთავე წარმოდგენისა, რომელიც მეცადინეობას არ აკლებს, რომ თავის შეუძლებელ მოძმეებს გონიერული საზრდო მიაწოდოს. მოკლე დროში კიდევ აპირებენ წარმოდგენის გამართვას.

* *

მცხეთის საქალბო სასწავლებლის რჩევა, რომელიც არსებობს წმინდა ნინოს მონასტერთან, ამით აცხადებს, რომ მოწაფეთა მიღება მოსამზადებელი კლასის უმცროს და უფროს განყოფილებაში, აგრეთვე I, II, III, IV კლასებში დანიშნულია ამ წლის პირველ სექტემბერს. მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა რჩევის სახელზე და თან უნდა გამოაყოლონ მეტრიკული მოწმობა, ან მეტრიკიდან აღმოწერილი წლოვანება, მოწმობა ტანის ავტობიოგრაფიისა და ევანგილის აკრისა.


ამ საქალბო სასწავლებელში ასწავლიან რუ სულ ენას და მეტყველებას, ქართულ ენას და მეტყველებას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას,

ლომაზათ წერას, გალობას და ხელსაქმეს. ვისაც სურს ფრანგულსაც ასწავლიან, თუ ფასს გამოიღებს. ვინც აქ დაასრულებს სწავლას, შეუძლია სხვა უმაღლეს სასწავლებელში ვაღიდეს სწავლის გასაგრძობათ.

ვინც პანსიონერათ შევა, — იმას წვლიწადში გადახდებიან 120 მან. პირველ გამოწყობისთვის — 20 მან. ნახევარ პანსიონერს — 80 მან., ხოლო მარტო სწავლისთვის წვლიწადში — 20 მან.

სასწავლებელში მოსაირულებ მოწაფეებზედაც აქეთ მზრუნველობა, დააყენებენ ხოლმე მათ კეთილზნობიან და კეთილ სინდისიან საზღობებში.

მონასტრის აგუმენა ნინს.



„კვალის“ კორესპონდენციები.



„აბაჯი. მთელი ქიზიყი ამ ჭმათ სულ ერთიანათ მამულზეზე სჯის და ლაპარაკობს. მერე რა არის მიზეზი ასეთი ლაპარაკისაო, იკითხავს მკითხველი? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ცხოვრებასთან შეზრდილსა და შებერებულს საერთო მიწათმფლობელობას მითარბის სურვილით და ბრძანებით ბოლო ეღება. ქიზიყში ახლა გაცხარებული მუშაობაა, რომ აზნაურებს და სამღვდლოებას მიუზომონ მამულები და შემდეგ ჩაბარონ, თუ კანონი აკუთნებთ, რადგანაც სახელმწიფო კონებათა უწყების წარმომადგენელი ყველა მამულებს განურჩევლათ, ასე წარმოიდგინეთ სასახლეებაც კი, სახელმწიფოთ აცხადებს. ამ ამბით შეტრუნებულთა, როგორც აზნაურობა და მასთან სამღვდლოება, აგრეთვე გლეხებიც; არც ერთ მათგანს ჯერ ხეირიანათ არა აქვს გათვალისწინებული, რამ გამოიწვია მამა-პაპურა მიწათმფლობელობის წესის დარღვევა და ან რა შედეგი მოყვება საერთო მიწათმფლობელობის სუდრის გადაჯრებას...“

ჩვენ კი ვიტყვით, რომ აწ სულთმობრძეი საერთო მიწათმფლობელობის მოსაბა ხელს შეუწყობს კაპიტალისტურათ წარმოებას, რომელსაც, რასაკვირველია, პროლეტარიატის (ბოვანის) გაჩენა და გამარჯვება მოჰყვება. ეს გამარჯვებობა დაიწყება აზნაურობაში ჯერ პირველათ, რადგანაც იმათ, ვითარცა მესაკუთრეთ, ნება ექნებათ თავიანთი ხვედრი მამულები ფულით კაცებზე გაასაღონ, რადგანაც პატარა-პატარა ნაქვრების აღრინდელი წესით შემუშავება პატრონს არაუფერ ხეირს არ მისცემს....

გლეხებში ხმა დადის, რომ მთავრობას აზრათ აქვს გლეხებს კომლზე ოცლა-ოთხი დესენა მიუ-

ზომან, მაგრამ ბევრს ოჯახს ეს მამული, თავისებური შემუშავებით, კბილის ქართაც არ ეყოფა. მაშასადამე ის იძულებული იქნება თავისი შეუძლებელი მისზობლისგან იჯარით აიღოს იმისი ხვედრა მიწა, რის გამოც ეს უკანასკნელი განთავისუფლდება მამულის მოვალეობისაგან და იძულებული იქნება სხვა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი.

ახლა კი გლუხს გული ეთუთქება, როდესაც ესმის ზოგიერთებისგან, რომ მაღე მოგვიყვას ისეთი დრო, როდესაც ნება აღარ გვექნება დავიჭიროთ კვლის შემოტარებით ის მიწა, რომელიც მოგვეწონს, და მოვიხნათ. თაგობაში ვეღარ გვაჯერებთ ცხენებს საუკეთესო სათიბების დასაჭერათ, რადგანაც ყველას თავისი ექნება მოზომილი სახნავთაც და სათიბათაც.

ხალხი სულ იმას გაიძახის, რა უნდოდათ ჩვენ გან-გვეცხოვრა ისე, როგორც მამა-პაპიდან გვიცხოვრიაო, მაგრამ იმათ ვინღა ჰკითხავს...

გავრცელებულია ის აზრი, რომ ქიზიყელებს საზოგადოთ ბევრი სახნავი სათიბები აქვთო, მე არ შემოდის, ვთქვა გადაჭრით რომდენთ მართალია ეს აზრი: ვიტყვი მხოლოდ, რომ გლეხების აზრით ისინი თვითონ ძალიან ეიწროთ არიან, რის გამოც თუ საკმარის მამულს მისცემენ თავისუფალი ალაგი სრულიად აღარ დარჩება. მე მგონია, რომ გლეხები მართლები არიან, რაც სხვათა შორის იმით მტკიცდება, რომ ქვემო მაჩხაანის სასეღშიაფო გლეხები სახელმწიფოდან იღებენ იჯარით საძოვრათ ვერცდ წოდებულ „რემენტების“ ალავს, რისათვისაც წელიწადში ორმოც და ათ თუმანს იხდიან.

ზოგი კიდევ შემდეგ.

ივ. ბ.—რი.

ქ. ნოვოროსისისკიო რუსის საზოგადოების გემებზე მუშაობს ასი ჭარბოვდი, რომელთაც მეთაურათ ჰყავთ; ბატონი სილოვან კლანდაძე. ამ უკანასკნელს აქვს აღებული გემების დაცლა-დატვირთვა ათას ფუთობით. ათასი ფუთი გინდ დაკლონ, გინდ დატვირთონ რუსის საზოგადოება აძლევს 9 მანეთს და ბანი კლანდაძე იღებს თითოეულ 9 მანეთიდან მუშების შესახედავით 1 მანეთს. საცოდავ მუშებს აძლევს თვეში ხუთს, ათს და ძალიან დიდი, თუ 13 მან მიცა.

მე დავესწარი, როცა ს. კლანდაძე ფულს არიგებდა მუშებზე. გამოზრძანდა ბატონი კლანდაძე და უთხრა მუშებს: „მე გირიგებთ ხუთ-ხუთ მანეთსო. ამ თვეში აგრე იყოს და აწი მე მკითხე თქვენი პატივიო, მაგრამ ამ დროს წარდვა ერთი გურული მუშა და უთხრა ბანი კლანდაძეს ხუთი მანათელი ჩემ ქალბაღანს და საზოგადო მოთხოვნითობას

ვერ გაასწორებსო; ბანმა კლანდაძემ უთხრა: პირობას რას უშვებო?—გურულმა უთხრა: პირობის კი არა, ზარბაზნის არ მეშინია. ჩემი შესაფერი ქირა მომე, თვარა თავზე თუ ხელი ავიღე, დარჩას უარეს ე-ზამო. ბატონმა კლანდაძემ დაიბარა პოლიციის მოხელე და წაყვანიან; სამ დღეს ეყო საწყალი მუშა სატუსალოში და მერე გამოაშვებინა. ილაჯ-გაწყეტილი გურული ახლაც მუშაობს მასთან; აბა, რა ქნას, საწყალომ, ამ დროში აკრე, სიპართლეს უსამართლობა ჯობს და ვთხოვ, ბანი სილოვან კლანდაძეს, რათა იმან მიუძღვნას მუშას თავის ნაოფლარის ნახევარი მიწი. იმან რომ მართლა ნახევარი მიწის, რასაც ათას ფუთობით იღებს, თითოეულ მუშა უწყევს 25 მანეთი და ამით მეტი არ უნდათ.

მეზავრი.

პაოუმი. ამ დღეებში მე ვნახე ერთი ბერძნის სახლში პატარა წიგნაკი. ამ წიგნაკში არის მოთავსებული სიტყვა 267-ს ენაზე მოლოპარაკე ხალხთა, და მათ შორის ქართულათაც, გვერდი 23, ტომის №-რი 77. შემდეგი სიტყვა ლამაზი მხედრული ასოებით.

(სათაური) (georgian.)

(georgia and the caucasus).

(სიტყვა ქართ.)

„რამეთუ ესრეთ შეიყურა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი, მხოლოდ შობილი, მიხსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმუნეს იგი, არა წარსწყმდეს, არამედ აქტუნდეს ცხოვრება საუკუნოა“. აი, სწორეთ ეს სიტყვა არის, თქმული ყველა ამ 267-ს ენაზე. წიგნაკს აქვს წინასიტყვაობაც; სამწუხაროთ ბევრი აკლია, ხოლო ჩანს კი, რომ უნდა იყოს დასტამბული ინგლისელ სწავლულის მიერ (1804-ს წელს). ბევრი რამ არის საყურადღებო ამ პაწია წიგნაკში, სხვათა შორის გვერდი 10, ტომის, (30.) (Burmese), რომელთა ასოები წმინდათ ქართულსა ვაგს, ხოლო თავბოლო შექცევით. კიდევ (Burma) ტომია (Kazen) ქართულსა ვაგს. თუ ისურვებს „ეკლის“ რედაქცია, ჩვენ გავუზავნით ამ წიგნაკს მოკლე დროებით. *)

დ. ბუჭინიშვილი.

*) დიდთ დაჯავლებს ბანი ბუჭინიშვილი ეკლის რედაქციას, თუ იწუპეს და გამოაკვავზავნის ამ შესანიშნავს წიგნაკს.

* *

სოფ. ფელიქსი (ელისავეტა. გუბ.). დელიქანი მეორე ბორჯომია ამბობენ და მართლაც რომ კარგი რამ საგარეო ადგილია, ზაფხული თითქმის თავდობა ავერ და ოდნეავს არ გვიგრძნია დლიქნელებს სიხსისკაა შეწუხება; მუდამ ღრუბლიანი დღეებია და მუდამ გრილია; მეტადრე დილა-საღამოს თუ თბილათ არ ჩაიციეთ — საგრძნობელათ შეგცვიფრებთ; ჩვეულებისამებრ, სტუმრები საქმათ გვეწვიენ წელსაც და დელიქანს და მის მკვადრ მცხოვრებლებსაც სიხარულის ელფერმა გადაჰკრა; სადაც აქამდე თვალთი ვერავის დინახავდით, იქ დღეს თქვენი თვალი განცვიფრებაშია, როდესაც ჰხედათ უცხო საზოგადოებას, უცხო მხიარულ სტუმრებს, მოტრუიანულ დამკავალრებს....

ეს კარგი დაგმართოსთ, მაგრამ როდესაც მოქალაქე სოფლათ გადის ზაფხულით, რასაკვირველია უმეტესათ საკრიოლებლათ მიდის. ქალაქის სიციხეს ერთ-ფეროვანს და რთულ ცხოვრებას გაუბრბის, მაგრამ სოფლათ დგომის დროს მისთვის სხვა გვარ სიამონებებასთან ერთათ, გონებრივი ვართობაც საქირია უთუოთ, ის ნაწივეია ამის და უამისოთ მას უტკეულათ მოეწიინება; ჩვენ დლიქანში კი — ღმერთმა გაზაროსთ როგორიმე გონებრივი ვართობა; ამ ვამათ აქ იმდენი ახალგაზდა მყოფება, რომ მათ სულ ადვილათ შეუძლიათ კერაში ერთხელ მაინც მაიწოდონ აქაურ საზოგადოებას ვითარიმე გონებრივი საზრდო. ჰასრთან წარმოადგენებით გაუღვიძონ მას მიძინებულ კეთილშობილი გრძნობები ადამიანისა, ამით თვით ვავითონ და საზოგადოებასაც რამე შეძინონ: საუბედუროთ, ამის მაგიერათ აქ საცეკვეი საღამოებია, მუდამ „ტანკობა“ა, მუდამ ხუნტრუტობენ, ცუღლუტობენ და, რაც უფრო სამარცხენია, გადამეტებული ლოტოს თამაშში დროს ჰკარავენ. ევეკი არ არის, რომ, გარდა უკანასკნელისა, ცხებიც საქირია ადამიანის ბუნებისათვის და ძლიერ მოსაწონია, რომ ამ მხარის იგიწყებენ აქაური ახალგაზდები, მაგრამ ის კი ვერაუფრი მოსაწონია, რომ რაც უმთავრესათ საქირია და სასარგებლო ადამიანისათვის, ის დაუეიწყებიათ და გონებრივი წარმატების დევიზათ „ტანკობა“ დაუსახეთ: სრულებით არ არის მოსაწონი ამ გვარი მოქმედება აქაური ახალგაზდებისა და, იმეღია, შემდეგში ყურადღებას მიამკევენ და სალი თვალთ შეჩვენდვენ თვინათ მოვალეობას საზოგადოების წინაშე. —

აქ ორიადე სიტყვა კერძოთ აქაურ ქართველებზედაც უნდა მოგახსენოთ: თითოეულს მათგანს შეუძლია თითო ვაზეთი (ჩვენებური მაინც, თუ უცხო


ენის არა) გამოიწვიოს და მისი საშუალებით კვეზარი იქონიოს თავს მოძმებთან, ვაკოს რა ამბები ხდებდა ჩვენი ცხოვრების ვითარებაში, საით მისწრაუის დღეს ჩვენი ცხოვრება, რა მიზანი აქვს მას, და მიხედვით ამისა, რა მოვალეობა ამდგეს ყოველ ჩვენ ახალგაზდას, და, თუნდ მოვალეობასაც რომ თავი დავინებოთ, მეცხრამეტე საუკუნის ადამიანს უბრალოთ მაინც უნდა აინტერესებდეს მისი ზალხის დედა ძარღვის დღიური ცემა; აცოლდათ ყოველივე ცუდი, როგორც აქაური ქართველები მოკლებულნი არიან ასეთს სურვილს; ჩანს ქართული ანდაზის შინაარსი კარგათ შეუვნიათ, რომ ყველას აქაური ქუღბა ახურათ თანხე; მამა ცხანებულები საზოგადო „ორველაში“ ჩარევიან, თათქანს ჩვენც სწებსავით გვექნდეს საქმეები გამოწვობილი.

მ. ფ — იქ.

* *

ონი (რატა). დაბა ონის საბოქაულოში აქ ორი კვირის წინეთ სამი მეტათ საზიზლარი ქრილობა მოხდა. აქეთი ბორბოტების ჩამდენნი ეყულებიან ჩვენ მეტაურ თაველ აზნაურობის წოდებას, ე. ი. აზნაურობას სწორეთ ამათმა ასეთმა ცუღბა საქციელმა ძალზე დამაუიქრა და სასოწარკვეთილებიდან თავი ევლარ დამიღწევი. რალა იმედ უნდა გვექონდეს იმ მოწინავე თაობისა, რომელთაც მრავალი საუკუნის განმავლობაში უკანასკნელი სიცოცხლე შეუწირათ მამულისა და სჯულისათვის და დღეს კი ერთმანეთის სისხლით ვერ გამძლარან; ქონებითაც ძირს ეცემიან და თითონაც სამუდამათ გეზორდებიან. მე ვეოვნებ, გამოკლება კი არა, არამედ მომატება ექირებება ზალხისა ისეც დაღარიბებულ საწყალ ჩვენ ქვეყანას. არ ვიცი, რამ აიძულა ეს ზალხი და რისთვის მოძულებიათ არა მარტო თავისი თავი, არამედ ცოლშვილი და მთლათ ოჯახი და მამული. რადგან დაჩეული არიან ბატონყმურ ცხოვრებას, ვერც ახლა იმლიან ბატონობას და შრომა კი ვსახებათ. ამის გამო ღვინით იქცევენ თავს და ლოთობასაც ეს თთი დამღუპველი უბედურება მოადგეს.

წაკველი აზნაური.



სოფ. მარტყოფი და „ხელთ-თუქმნელ ღვთაების ეკლესია“.



მარტყოფი არის ორი: ერთია მონასტერი, სადაც განისვენებს წმ. ანტონი მარტყოფელი და მეორე — სოფელი მარტყოფი, რომელიც

ძვეს რელიგიიდან 25 ევრსუ. აქ, ს. მარტყოფში, ცხოვრებდნენ ბოლო ხანებში ქ. რუსთავის ეპისკოპოსები. ქ. რუსთავი მდებარებდა ძველ ბოსტან-ქალაქში მტკვრის მარცხენა ნაპირზე თფილისიდან 25 ევრსზე. ჩვენის მატარებლის თქმით, ეს ქალაქი აუშენებია ქართლისის მეთელის. შემდგომო რუსთავს ყოლია მმართველებათ საკუთარი ერისთავები. მეოთხე საუკუნის გასულს აშენა აქ ტრადტ მესამემ დიდი ეკლესია, რომელიც ეახტანგ გორგასლანმა საკათედრო ტაძრათ აქცია და მისცა მას სამკედროთ მარტყოფი, საგურამო და ხერკი.—მეცამეტე საუკუნეში ბოსტან-ქალაქი, ანუ რუსთავი ააოხრეს სპარსელებმა საქართველოს მეფის დავით მეოთხის დროს. მას შემდეგ რუსთავი ევლარ წამოადგა ფეხზე და თავისი სახელიც დაკარგა. მისი ადგილი დაიჭირა მარტყოფმა, სადაც დაბინადრდნენ რუსთავის ეპისკოპოსები და ცხოვრებდნენ იქ 1752 წლამდის. ამ დროიდან კი მათი სამუდამო რეზიდენცია შეიქნა ს. მარტყოფი.

საქართველოს იერარხიაში რუსთავ-ს ეპისკოპოსს ეპირა მეთვრამეტე ადგილი.—როდესაც კახეთი ცალკე სამეფო გახდა, რუსთავის ეპისკოპოსებმა დიდი გავლენა მოიხვეჭეს კახეთზე; დავით იმამ-ყულიანის აქტის (მე-18 საუკ.) ძალით, რუსთავის ეპისკოპოსი იჯდა კახეთის მეფის მარცხნით პირველ ალაგზე; მას ებარა სამეფო დროშა, იყო მეფესთან დაახლოებული და მასთან ერთათ განაგებდა ქვეყნის საქმეს. ისევე საპატიო პირი შეიქნა ბოლას რუსთავის ეპისკოპოსი, რომ მას ჰყავდა თავის საღრამო და, მეფის ბრძანებით, იქ განჩნდებოდა, სადაც იწვევდა მას მამულის მოვალეობა გაჭირებების დროს. მის საღრამოს ექვემდებარებოდა უჯარმის და სამების მღვდელმთავრები თავისი ჯარით, რომელიც იკრებებოდა სამგორში თავად ავალიშვილებისაგან და არაგზე—გურამიშვილებისაგან. ამ ჯარში იყვნენ თორნეთლები, ერყოლები, ფშავი, ხევსურები, იმევე ადგილების თავადები და ნეკრესელი თავის ჯარით. მასვე ემორჩილებებოდა ენისელი მოურავი და წინამძღვრები: ჯვარის-საყდრის მცხეთაში, შუაძმის, ზედა-ზენის და ხოდაშენის თავისი გლეხებით. ასე გვიამბობს Кавказъ въ археологическомъ отношеи Д. Вакраძე.

მიუხრბუნდეთ ჩვენ სიტყვას. რაკი რუსთავის ეპისკოპოსები დაბინადრდნენ სამუდამოთ ს. მარტყოფში, უძველესია, უნდა აეშენებიათ იქ დროს და გარემოების შესაყრებით ტაძარი. არცერთ წინეთ როგორი საყდარი იყო ს. მარტყოფში, სადაც დღეს აგებულია კრამიტით დაბურული ჩინებული ეკლესია გუმბათიანი. ოარივე მხარეზე საყდარს ჩამოუდის ანკარა და ცივი ხეები: დასავლეთისკენ ტყეანის-ხევი, აღ-

მოსავლეთისკენ—ალის-ხევი. ეს ხეები უერთდებიან ერთმანეთს ვალენის სამხრეთ კედელთან და მიეშურებიან ქვეითკენ ლოქინის-ხევიში, აი, ამ თვალათვის საპრო ალაგს აუჯია დღევანდელი ეკლესია უქანსკენდის რუსთავის მღვდელმთავარს და თეორიანც იქვე დაფთულა ეკლესიაში სამხრეთის სვეტის ჩრდილოეთით, სადაც სვეტში შემჯდარ მარმარილოს ქვაზე აწერია მხედრულათ შემდეგი: „აქა განისვენებს გვამი წისა (წმიდისა) ამის ეკლესიის აღმშენებელისა რუსთავის არხივის-სკოპოსისა საქართველოს ეპისკარის და კავალეროსნის სტეფანესი გეორაძე თავად (თა) ჯორჯაძისთავან, რომელმანც (გეორაძე) განელო საოფელსა აპას წინა (შა) ოც (75) წელიწადში შრომიითა და პირად პირადითა სახითა მღვწელობითა და შემატებითა ამის ეკლესიისათა ხოლო უქანსკენლ მიმცემი ხარკისა მოხუცებულებსა აქმსა შთაბანებს აქა მტვერსა მტვერადვე ნომებრის იმ (18) ჩულო: (1839) წელსა, რომლისცა (როლისცა) აღმზრდელმან მისწულმან და სულისა მეთურმან ილუმენმან იოანე შეუმზად ნიში ესე ცილსად სახსოვრისა მას და შენ, ჭი სახიერო დმერთო (ლო), მოიხსენე იგი მუნ ზეცისა იერარათა თანა“.

კანკელზე არის მხედრულათ წარწერა ერთ ხაზით ჩრდილოეთიდან სამხრეთის კედლისკენ გასწერილი: „ჩატენ ყოფილად სამღვდელლო მდაბალმა რუსთველ არხივის-სკოპოსმან ენისელთ მოურავის ძემ სტეფანე შეუმზადე კანკელი ესე ჩემგანვე ახლად აღმშენებულსა ამას ხელით უქმნელის ეკლესიასა საოხათ სულისა ჩემისა ამინ: იანერის კ-სა ჩუცე (1825) წელსა ქ-სა ფეც (1825)“.

ღეთების ხატი დახატულია ტილოზე. აშია და შარაენდელი აქეს ეცხლის, ოქროში დაფერილი. ქვედა აშიის ზემოთ ხატის ძირს მხედრულათ აწერია: „შემოაწერიე ხატი ესე მღთებისა მარტყოფის ხელთ უქმნელის ეკლესიას ილუმენმა იოანემ საოხად ჩემისა და მისწულთა ჩემთა გიორგი და დმიტრი დავითის ძეთა აღსაზრდელათ და საღვდგძელოთ სვეტმებრს რიცხეს ჩულობ-სა (1832) წელსა“.

ამგარიევა მეორე ხატი ფიქარზე დახატული. აშია და შარაენდელი აქეს ეცხლის, ოქროში დაფერილი.

კანკელის ქვემო ნაწილზე ჩამოხატულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წმიდა მამები და ზედა აქვთ წარწერა ასომთავრულათ. ესენი არიან: პირის ბრეთელი, მიხალი ულუმბელი, სტეფანე ხირსელი, თავდგო მამებელი, ზენან იყალთოელი, ისიდორე სამთავნელი, იოსებ ალავერდელი, შიო მღვიმელი, ანტონ მარტომყოფი, იოანე ზედაწელი, დავით გარეჯელი, იოანე ოქროპირი, ვასილი დიდი, გრიგოლ

ლეთისმეტყველი, ამბროსი მედიოლანელი, წმ. ნიკოლოს, სვირიდონ საციერველი მოქმედი, მეთოდი პატრიარხის კოსტანტინოპოლისა, პაულე აღმსარებელი, სოფრონ პატრიარხი იერუსალიმისა, გერმანე პატრიარხი კოსტანტინოპოლისა, ათანასი პატრიარხი ალექსანდრიისა, ნიკიფორე პატრიარხი ანტიოქიისა, პეტრე ალექსანდრიელი, კრილე პატრიარხი იერუსალიმისა, ტარასი პატრიარხი კოსტანტინოპოლისა, წმიდა ქეთევან, წმიდა ნინა (?).

სამხრეთის კარის ბუკში ზევით, კარაპანზე, არის წარწერა მხედრულით: „თავი კჲ (28), რიცხვი (17) იზ ვითარ საშინლო არს ავღილო ესე, არა არს სხუთა ესე, გარნა სახლო ღისა (ღვთისა), და ესე ბუკ ზეცისა აღტუაწენ უდ (ყოვლად) სამღუღელომ ნინო-წმიდელ მიტროპოლიტიმან და არხივისკოპოსმან რუსთავისამან სტეფანე ენსესელთ მიოურავს ძემან შრომითა და საფასითა ჩითა (ჩემითა) მარტს. კ. (20) ჩიყზ (1817)“.

ეკლესიის გარედან გარშემო აქვს ჩამოსაჯდომი. სიგრძე აქვს ეკლესიას 32 არშინი, სიგანე — 18 არშინი. ეკლესიაში მხატვრობა არ არის. დასავლეთის კედელთან არის მიწნებული რუსულ გეგმის სამრეკლო, რომელიც აშენებულია 1890 წ. იმავე ეკლესიის უნარატეს მღვდელს თომა იოსების ძის ბერიშვილის მეცადინეობით და ხალხის საფასით. მამა თომა იქვე, სამრეკლოშივეა დასაფლავებული. ერთს ზარის სამრეკლოზე აწერია: „ესე: ზარა: მარტყოფა: მღვთაებისათჳრ: შემოწირავს: მე: ცოდვილსა: მხეცალსა: უფლისასა: ქ: წელსა: ჩყიე (1815): თეცა: ენკენისთეცა: იე (15): გასულსა: დედუკასა: სულითსა: ჩემისა: სასხარდ: და: ძისა: ჩემისა: აღსაზრდელად: ქსა უგ (1715) (?)“

სამწუხარო მღვდლარეობა წარმოვიცოდა, როცა წიგნთსაკრები შევედი! არავითარი ინიანი იმის, რაც ყოფილა, აღარა ჩანს: ჟურნალში მოხსენებულია 300 ნომრისაღი წიგნი, თუ დაბეჭდილი და თუ ხელნაწერები, მაგრამ მათ ადგილზე ნახეთ დღეს „სასულიერო მახარებლის, „II. B.“, „I. B.“, „III. T. შიჰ. და მისთანებს, რაიქნა ეს ამდენი სიმდიდრე, რომელსაც იხსენიებს ჟურნალი? ჟურნალის ბოლოში წერია: „1872 წელს დეკემბერს 21, № 3760. წარიგნა (წარიგაწენა) კანტორაში: 1) სამკაულნი, 2) მღვდელ-მთავრის შესამოსელნი, 3) მღვდლის შესამოსელნი, 4) წიგნები“. დარჩენილა მარტო ძველი სახლი, სადაც წინეთ ცხოვრებდნენ მღვდელ-მთავრები და ახლა — ამავე ეკლესიის მღვდლები. მაგრამ დღეს თუ ხვალ ეს დაღუპებული მოწმე წარსულის მტერად იქცევა, დაიწერევა ღვთის და კაცის წყალობით... ჟურნალში მოყვანილ წიგნებიდან შესანიშნავ-

ია შემდეგი ნომრები 1) № 6 დიდის ტანის სახარება ეცესლით შექცილი და ოქროში დაფერილი, № 7 სახარება მოსკოვს დაბეჭდილი, № 8 სახარება ვახტანგ VI ვან დაბეჭდილი, № 9 ტრაპეზის ჯვარი ეცესლის, ოქროში დაფერილი, № 10 პატარა ეცესლის ჯვარი, № 11 ორი ეცესლის ჯვარი, № 135 სამოციქულო, ვახტანგ VI დაბეჭდილი, № 136 კონდაკები: ერთი ვახტანგის დაბეჭდილი და სამი ხელნაწერი, № 141 ორი თენგი ხუტურად ხელნაწერი, № 142 ხუტურად ხელნაწერი საღვთსწაულო, № 143 ორი საღვთსწაულო, თენგი მხედრულით, ნაწერი სამსამის თე-ს, № 144 მარხვანი ხელნაწერი, № 148 სჯულის კანონი ხელნაწერი, № 146 ერთი სამთეენი, № 149 ეტრატხედ ნაწერი მეტაფრას, № 150 ერთი ხუცკურად ნაწერი სეინაქსარი, № 151 წიგნი კავშირი ორი: დიდის ტანის ხუტურად ნაწერი და პატარა ტანის მხედრულით ნაწერი, № 152 სტოდირი, № 153 წმ. ნიკოლოზის ცხოვრება ხუტურად ხელნაწერი დიდის ტყვიის, № 158 სჯულის კანონი იოანე მმარხველისა მხედრული, № 159 იოანე დამასკელი, № 160 გრიგორი რომთა პაპის ცხოვრება, № 161 წიგნი გვირგვინი, № 162 წიგნი სუფევად წოდებულა, № 164 პარფირის შეყვანრღება მხედრული, № 165 წიგნი კლიტე წოდებულა, № 166 წიგნი ცხოვრება იოანე გლახკისა და სხუთა, № 167 სამოთხ-ს ყვედილი, № 168 სარწმუნოების აღსარება ნუსხური, № 169 კატელორია, № 170 კიბე, № 171 იამბიკო წიგნი, № 172 წიგნი ოთხსეულად წოდებული, № 173 ღვთის მეტყველება მხედრულია და წერილი, № 174 წიგნი მებუთე მეორის სჯულისა. № 175 კატეხისმო, № 176 სახარება ეტრატხედ ხუტურათ ნაწერი, № 177 პარაკლისი სახელმწიფო, № 178 პარაკლისი შობის დღესასწაულისა.

ვინ იცის, როდინდელია, ან რა მიწაწერები აქვს ბეერს მათგანს, მაგრამ დღეს ჩვენთვის მიჟარულია, და ყველას გულს უღრღნის მათი მომავალი. მათ ბაღლათ მღვდელმა კვიტანციები იმოწმა, მაგრამ, ბეერ ძმებს შემდეგ, კვიტანციები ევლარ ენახეთ...

ასე დაუღვარა ვართ თვითონ ჩვენ ჩვენს საკუთარს საქმეზე და სხვისი რა იმედი გვექნება, ან რათ უნდა გვეკონდეს?

ს. ქუთათელაძე.



ჩვენი სოფლის მამასახლისი.



აღიან პატიოსანი კაცი ილა ჩვენი სოფლის მამასახლისი — ეუთხარი ერთ ჩემ მეგობარს სოფლის საკრებულოზე.

— ქრთამს რომ იღებდა, ის კი არაფერიო? — წამოეჩარა კბილის ჭიასვეთ ერთი პირხმელი წუნკალა გლეხი, რომელსაც მუდამ პირის სახე ჩამოტოროდა.

— რასაკვირვლია არაფერი!

აბა, ერთი მითხარი, ვინ არ იღებს ქრთამს? საქმე კარგათ გვაკეთე, კანონის წინ დამიფარე, ერთი უბრალო ბორატმოქმედებისათვის ნუ დამილუპავ, დამისხენ გაჭირვებისაკან და ფული რამდენიც გნებავს წაღე, თუ კი მექნება. მეც მადლობელი დავგრჩები და შენი ჯიბეც. მაშ ის უკეთესი იქნებოდა, ზოგიერთები რომ ჩადან? ქრთამსაც იღებენ და ერთი ცხენის მოპარვის ფულისათვის ციხიზონში გიკერენ თავს.

ყველა აე კაცს გეძახის, ყველას ძულხარ და მანმდის არ მოგისვენებენ, სანამ კისრის მტრევეთი ძირს არ ჩამოგადგებენ. ჩვენი მამასახლისი, შენ რომ გგონია, არც მისთანა მექრთამე იყო. ის მტყუანს ისე არ გაამართლებდა, თუ მართლსაც არ დაეკამყოფოდნენ. მართალია, მისი მიწაღრუავებიც იყვენ. მაგრამ იმათ არ ესმოდათ ჩვენი მამასახლისის კეთილი მოქმედება და ცუდ ხმებს ავრცელებდნენ იმაზე. ეინ ყოფილა მისთანა შესანიშნავი კაცი, რომ მტრები არ ყოლოდნენ? ეს ხომ კარგათ ვიცით ჩვენი გამოჩენილი კაცების ისტორიიდანაც. ჩვენი მამასახლისი ამ შურიანობას ინათავ არ ავდებდა, რადგან უმეტესობას მისი მხარე ეკავა. ორსა თუ სამ გაიძვირათ, რაც უნდა, ის ელპაპარჩათ. მას ხომ ფეხი მაკრათ ჰქონდა მოკიდებული. ეს გაიძვირები რომ ჩვენ მამასახლისის ხელში ჩაეპაროდნენ, მაშინ ნახავდი მათ სიერს. ის ყოველ ღონისძიებას იხმარდა, მისი მტრები მოეშორებია თავიდან, ალბათ სოფელსავე კეთილდღეობის დასაცველათ. ყოველი სამი წლის თავზე ღიღ წყალობას ვასცემდა ხოლმე ჩვენი მამასახლისი: ზოგს გზაში ვასვლას შეაწედა, ზოგს სხვა-დასხვა საჩუქრებს ურიგებდა, ზოგს სადილზე პატრონება, ანა, აბა, მითხარი, ვინ არ ამორჩენდა მას მამასახლისით?

— ხალხო! გინდა თუ არა ძველი მამასახლისი სო? — შეპყვირებდა ხოლმე მახრის ბოქაული სოფელს ამორჩევის დროს.

— გეინდა, გეინდა. ახალი დემრთმა დაწყევლოს, — შეპყვირებდა ხოლმე ხალხი.

— არ გეინ... მთელი სოფელი მეგან გააწყალა — გაისმოდა ორიოდ, ან სამიოდ გაიძვირების ხმა; მაგრამ მოგეცა სიციცხლე მათ ამ ცუდ-კაცობისთვის გვერდებს დაამტკრედნენ მამასახლისის მომხრენი; ეინ მუჯღუგუნს ჰკრავდა მათ, ეინ კისერში წაართყამდა, ზოგიც ტურებზე ხელს დააფარებდა და ასე ამ რიგათ კეთილი საქმე ჩაუშლიათ რჩებოდა. ამორ-

ჩეული მამასახლისი დიდი ტრაუმით და ცერემონით შებმანდებოდა ხოლმე თავის სამფლობელოში, სადაც იმართებოდა ნადიმი და ქეთი. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მამასახლისი ძალიან უყვარდა შექცევა და ხალხი, არ გავდა ზოგერთი ცხვირ-ჩამოშვებულ, მრისხანე მამასახლისებს! ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი! როცა კი გამართავდა ნადიმს (კვირაში ორჯერ, სამ, ჯერ მაინც იმართებოდა ნადიმი). მე არასოდეს არ მივიწყებდა: „დღეს სადილათ კანცელარიაში მობრძანდი, მისაკო“, შამომითულიდა ხოლმე იასაულის პირით. მეც ვასრულებდი ჩემ მოვალეობას. სადილი სოფელს მოჰქონდა რიგ-რავათ. უნდა გენახათ, რა მდგომარეობაში ვარდებოდნენ მაშინ კანცელიარიის საქმეები! თუ კი რომ ქალღლები და საბუთები ეყარენ სტოლზე, მოვესმადით ხელს და სტოლ ქვეშ შეეყრიდით, ან კიდევ ბუხარში, სადაც არც ისინი რჩებოდნენ მშვიერი და მწყურვალნი. ჩვენ კი სრულ განცხრომას ვეძლეოდით. მაგრამ სულ ქეთივბა და თავის შექცევა რა პატიოსნობაა! ხან-და-ხან საქმეებსაც ვარჩედით. ვთქვით, შემაივდა საჩივარი. მამასახლისი ჯერ გამოიძიებდა საქმეს, მერვე დაწმინდეს გაიხმობდა ცალკე ოთახში (საქმეს კარგი დაეკარებება უნდა, ხალხში რას ვაარჩევ! ოთახში კი, დამნაშავესთან ცალკე, ჩქარა აბოლოვებდა საქმეს). შემდეგ გამობრუნდებოდა და ხალხს ამ სიტყვებით მიპართავდა: „მე ამ კაცში ვერაფერი ბრალი ვაოვე“. ყოველ საქმის გარჩევას ეს პილატუსის სიტყვები მოიყვებოდნენ ხოლმე შედევთ. მაგრამ, იმას ნუ კი იფიქრებ, მკითხველო, ერთმან ჩვენი მამასახლისი პილატუსავით ღაჩარი ყოფილიყოს. პილატემ ვერ დაიჯარა ქრისტი, თუმცა ძალიან გულით უნდოდა, რომ დაეფარა და ყოველი ღონეც იხმარა. ჩვენი მამასახლისი კი არა მარტო მართალს, მტყუანსაც იფარავდა და ამართლებდა. აი, ყოჩაღი და სახელოვანი კაცი! მასსივე ერთხელ ვასათხოვარი ქალის ვაუპატოურების შესახებ საჩივარა შემაივდა ჩვენ კანცელიარიაში. უკ! — რა ზედ-მიწევნითი ცოდნა კანონისა გამოიჩინა მაშინ ჩვენმა მამასახლისმა! მე მივიკრდა, საიდან იცის ამ კაცმა ეს კანონება, რომ არსად უსწავლია მეთქი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბუნებითი ნიჭი ერთი კაცი იყო. აი, რა განაწენი დაადგინა მაშინ მან: „ზურაბიც (ასე ერქვა მოპასუხეს) ძალიანა არ ჩაუდენდა, რადგან არა ჩანს, რომ ის მიხტომოდეს მას (ქალს). თუ ტყეშ დახვდა, ეს მაინც დახვედრავდა არა მიხტომავ“, — ხომ ასეა, მისაკო? — დაუკითხა მე.

— ვგრევა, ვგრევა, ჩვენო გონიერო მამასახლისო! — წამოვიყრანტალე, მისი ნიჭიერი დაღწევეტილებით გატაცებული. რა თქმა უნდა, დახვედრა მიხტომი არ არის! ამას შემდეგ ქურდებმა და სხვა ბორატ-მოქ-



წიგნებით ვაჭრობა იაპონიაში.

მედმა კაცებმაც სრული მშვიდობიანობა პოვეს ჩენი სოფელში. ღამე არ გაეიდოდა, რომ არაეინ ვაჭურდოსთ და ვაევიღოვოსთ, მაგრამ მეორე დღეს ეს საქმე სრულიად ისპობოდა და ვიწყებოდა. ერთი საჩივარიც არ წასულა ჩენი მაზრის სასამარლოში, და ამისთანა კეთილი და სასარგებლო კაციც კი არ დაუფასა ქვეყანამ. აი, მოუახსენებ, როგორ იყო საქმე. ერთი საშინელი მკვლელობა მოხდა ჩენი სოფელში ამას კი შიაკიცა უურადღება მაღალმა მართებლობამ მკვლელი თითქმის ნახევარმა სოუელმა იცოდა, მაგრამ არა მხედდენ. ეს კი იყო რომ იმ ორიოდ, თუ სამიოდ ცუდმა კაცებმა, რომლებსაც ჩენი მამასახლისი ძულდათ, მიუთითეს მკვლელზე. იქითაქით გამოიძიეს საქმე ფიცით და დაეიდარაბებით. ბოლოს შთელმა სოფელმაც გასცა მკვლელი. მაგრამ, ნუ იტყვი! მკვლელმა მამასახლისისგან მიცემული მოწმობა წაბრადგინა სასამართლოში, რითაც ცხადთ ჩანდა, რომ იმ დღებში, როცა მკვლელობა მოხდა, ის სულაც არ ყოფილიყო სოუელში. შექნა გამოძიება და მამასახლისი ვაება ბოლოს მახეში. ეს სულ იმ ცუდი კაცების ბრალი იყო, რომელნიც ვერას გზით ვერ

